საჭიროა თუ არა ძრავის გახურება გამთარში მანქანის დაძვრამდე?



Dealer Info

Name:	Avto News
M. Phone:	(694) 854-947
First Name:	Avto
Contact Person:	Contact Person
Do you consent to receiving advertising messages?:	Yes

Listing details

Common

Title:	საჭიროა თუ არა ძრავის გახურება გამთარში მანქანის დაძვრამდე?
Posted:	Nov 05, 2026

Additional Information:

დიდი ხნის განხილვის საგანია გამთარში ავტომობილის ძრავის გახურება დაძვრამდე არის თუ არა აუცილებელი. ზოგი ამბობს, რომ ძრავის გახურება აუცილებელია, რათა თავიდან ავიცილოთ ძრავის დაზიანება, ზოგი კი განსხვავებულ აზრზეა, ფიქრობენ რომ ეს უკვე მოძველებული მიდგომაა.

განვიხილოთ ის ფაქტორები თუ რატომ ფიქრობენ მძღოლები რომ ძრავის გახურება აუციელებელია ავტომობილის დაძვრამდე:
1. ყველაზე ხშირად მძღოლები ამტკიცებენ, რომ ცივი ტემპერატურის დროს ზეთი მკვრივდება და ძრავის ნაწილები საკმარისად ვერ იზეთება. ამიტომ არის აუცილებელი ძრავის გახურება დაძვრამდე, რომ ზეთი სწორად გადანაწილდეს ყველა მექანიკურ ნაწილში და თავიდან ავიცილოთ დაზიანებები.
2. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ავტომობილის გათბობა უფრო კომფორტულია, როდესაც ავტომობილი დაიძვრება გამთბარი მდგომარებიდან.
3. როდესაც სიცივეში ძრავი იწყებს მუშაობას, ბატარეას მეტი ძალისხმევა სჭირდება. ამიტომაც მძღოლებს სჯერათ, რომ ძრავის გახურება ავტომობილის დაძვრამდე ბატარეას საქმეს

უადვილებს და თავიდან ავიცილებთ მოულოდნელ გამორთვას.

ახლა კი განვიხილოთ ის ფაქტორები თუ რატომ ფიქრობენ მძღოლები რომ ძრავის გახურება არ არის აუცილებელი ავტომობილის დაძვრამდე:
1. საწვავის სისტემები თანამედროვე მანქანებში გამიზნულია იმისათვის, რომ საწვავი სწრაფად და თანაბრად განაწილდეს ძრავში, თუნდაც ტემპერატურა ძალიან დაბალი იყოს. საწვავის ინჟექტორები უკეთესად და სწრაფად რეაგირებენ, ვიდრე ძველი კარბურატორები, აქედან დასკვნა რომ თანამედროვე მანქანებში ძრავის გახურების საჭიროება მინიმალურია.
2. ძრავის გახურება მას მხოლოდ მცირე დატვირთვით ამუშავებს, რაც საწვავის მოხმარებას ზრდის, თუმცა ეს არ უზრუნველყოფს ავტომობილის უკეთეს მუშაობას. ეს უფრო საწვავის არაეფექტური ხარჯვა და ეკოლოგიური დატვირთვაა თანამედროვე მანქანებისთვის.
3. ძრავის გახურება უმოქმედო მდგომარეობაში შესაძლებელია საზიანო იყოს ძრავისთვის. უძრავად მუშაობის დროს ხდება საწვავის ზედმეტი მოხმარება და შეიძლება ბენზინის ნარჩენები მოაგროვოს ცილინდრებში, რამაც დროთა განმავლობაში შეიძლება ზიანი მიაყენოს ძრავს.
4. ძრავის გახურება გარკვეულწილად აუცილებელია გათბობისთვის, რადგან თანამედროვე მანქანებში გათბობის სისტემა უფრო სწრაფად მუშაობს და ნაკლები დრო სჭირდება კომფორტის მისაღწევად.

თუ მაინც იმ ფაქტს იზიარებთ რომ ზამთარში ავტმობილის დაძვრამდე აუცილებელია ძრავის გახურება, არსებობს ალტერნატიული და სწორი მიდგომები, რომლების მოგცემთ უკეთეს შედეგს:
1. უკეთესი იქნება თუ დაიწყებთ ნელა მოძრაობას და ძრავს საშუალებას მისცემთ გახურდეს ნელი მოძრაობით, რათა მისი ყველა კომპონენტი თანაბრად გაცხელდეს და დაიცვას უსაფრთხოების სტანდარტები.
2. გამოიყენეთ ზამთრისთვის განკუთვნილი ზეთი, რომელიც უკეთესად მუშაობს ცივ პირობებში და უზრუნველყოფს ძრავის ნაწილების ოპტიმალურ შეზეთვას.

3. დაარეგულირეთ ბატარეის მდგომარეობა, თუ ხშირად გიწევთ ძალიან დაბალ ტემპერატურაში ავტომობილის დაძვრა, რადგან ცივი ამინდები მეტად ძაბავენ ბატარეას.

საბოლოო მოსაზრებით, თანამედროვე მანქანებს არ სჭირდებათ ძრავის გახურება, თუ მანქანა აღჭურვილია საწვავის ინექტორებით. შესაძლოა უფრო მეტი ზიანი მიაყენოთ ძრავის უმოქმედო მდგომარეობაში გახურებით. უმჯობესია მოძრაობა დაიწყოთ ნელა და მიაღწიოთ ოპტიმალურ ტემპერატურას კომფორტულად.